სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 1

ქ. ონი 24. 01. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას 10 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მარკოიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, თორნიკე მეტრეველი .

არ ესწრებოდა: როსტომ ლობჯანიძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში გარკვეულწილად გათვალისწინებულია იმ საკითხების დაფინანსება, რაც პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხის თაობაზე. შენიშვნები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს საკითხი - ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვლ. ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

დამტკიცდა სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე